

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დედა ენის ბაღში

14 აპრილს, მთელი დღის განმავლობაში, დედა ენის ბაღში გაიმართება "დედაენისადმი" მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მიიღებს მონაწილეობას. საზოგადოებას საშუალება ექნება იხილოს იაკობ გოგებაშვილის არქივზე დაყრდნობით მომზადებული საინფორმაციო ფოტო ბანერები, გაეცნონ ილიას, აკაკისა თუ სხვა თანმედროვეთა მოგონებებსა და ჩანაწერებს იაკობ გოგებაშვილზე. ასევე ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა საგანმანათლებლო პროგამა: „დაბეჭდე დედაენა". დამთავალიერებლებს საშუალება ექნებათ, „დედაენის“ 1920 წლის გამოცემის სტამბური კლიშეების ასლების მეშვეობით დაბეჭდონ "დედაენის" გვერდები. გარდა ამისა, კალიგრაფიის კუთხესთან დამთვალიერებს საშუალება ექნებათ ეზიარონ კალიგრაფის რთულ და შემოქმედებით საქმიანობის საიდუმლოს.